

შ.პ.ს. „მ ა რ ე ლ ი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია საწარმოს შესახებ:

შპს „მარელი“ (ს/ნ 436032945) რეგისტრირებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად 2012 წლის 30 აპრილს. საწარმოს იურიდიული მისამართია საქართველო, მცხეთის რაიონი სოფელი საგურამო
საწარმოს მფლობელები: მარინე ნადირაძე-50%
ნინო სარიშვილი-50%

ძირითადი საქმიანობა: საცალო ვაჭრობ აარასპეციალიზებულ მაღაზიებში, უპირატესად საკვებიპროდუქტებით, სასმელებით ან თამბაქოს ნაწარმით .

2. მომზადების საფუძველი:

2.1 შესაბამისობა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

საწარმოსათვის 2019 წლის ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისად ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შესადარის ინფორმაცია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით .

2.2 ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე, ასევე ითვალისწინებს ფინანსურ მაჩვენებლებსა და სხვა ძირითად ფაქტორებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების ადეკვატურობის შეფასებისას.

2.3 ფუნქციონალური ვალუტა:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

3. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა

3.1 აღრიცხვის საფუძვლები

სააღრიცხო პოლიტიკა ემყარება და მისი შემუშავებისას გამოყენებულია კანონი „მეწარმეთა შესახებ“ და კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ, მსს ფასს სტანდარტებში, საგადასახადო და ფინანსური აღრიცხვის განსხვავებები. საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ანგარიშთა გეგმიდან დადგენილი სტრუქტურის შესაბამისად, ჯგუფისა და განყოფილების დაცვით ელექტრონულად საბუღალტრო პროგრამა „აპექსში“. საწარმო მიეკუთვნება მე-3 კატეგორიას. აღრიცხვას ისეთი პოლიტიკით, რომ შესაბამისობაში მოდიოდეს ანგარიშგებასთან. მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. პირვანდელი ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურეობის სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას. საწარმო აქტივებს და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი ციკლის განმავლობაში.
- მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში.
- აქტივი წარმოადგენს ფულადსახსრებს დამატეკვივალენტებს, თუ არარის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ საოპერაციო რეჟიმში.
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის გადავადების უპირობო უფლება

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის ოფიციალური - ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება ფინანსურ ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად. 31.12.2019 – 2,9699 აშშ დოლარი - 3,2676 ევრო. სავალუტო ოპერაციები საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს არ განუხორციელებია.

3.3 შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

ყველა შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება საწარმოში, ან შესაბამისად გადინება.

შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად გადახდის დროის მიუხედავად. შემოსავლების შეფასება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის გათვალისწინებით და გადასახადების გამოკლებით.

შემოსავლების აღიარებამათი სახეობების მიხედვით ხორციელდება შემდეგნაირად: შემოსავალი

საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალში არ ჩაითვლება უკან დაბრუნებები.

შემოსავალი სარეკლამო მომსახურებიდან.

შემოსავალი ჩამოსაწერისაქონელიდან.

3.4 ძირითადისაშუალებები აღიარება

დაშეფასება

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება ფასდება მათი შესყიდვის ფაქტობრივ ხარჯზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს შესყიდვის ფასს, შესყიდვის არაანაზღაურებად გადასახადს და ნებისმიერ პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ფასს-ის მიზნებისთვის ცვეთის აღიარება მოგება-ზარალში ხდება ცვეთის დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით (წრფივი მეთოდით), რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მისაღები სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისება. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოყენებისთვის დაერიცხება სარგებლობაში არსებული ვადის პროპორციულად. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განსაზღვრულია:

1. ინვენტარი -5-6 წელი
2. კომპიუტერული ტექნიკა- 5-8 წელი
3. ოფისის აღჭურვილობა-5-8 წელი
4. პროგრამა „აპექსი“-6-8 წელი
5. ელექტროგადაცემების საშუალებები-11-13 წელი
6. შენობები-20-30 წელი
7. მანქანა-დანადგარები-10-12 წელი

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლობის მიღება არაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი გამოითვლება, როგორც სხვაობა გასხვისებიდან მიღებულ (მისაღებ) წმინდა შემოსულობისა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება მოგება-ზარალში.

3.5 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები განისაზღვრება მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო ვადის მიხედვით. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 15%-ს.

1. პროგრამა „აპექსი“- 6-8 წელი.

3.6 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები თავდაპირველი აღიარების დროს ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე ტრანსპორტირების და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე მისაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასაქონლო მატერიალური მარაგი აისახება - პროდუქცია, მზა პროდუქცია საწვავი, სათადარიგო სამეურნეო საქონელი.

3.7 ფინანსური ინსტრუმენტები

საწარმო ფინანსური ინსტრუმენტებს აღრიცხავს ბასს 39-ის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის შესახებ ხელშეკრულების მონაწილე.

ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით.

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

ფულადი სახსრების, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების, სავაჭრო და კრედიტორული დავალიანებების სამართლიანი ღირებულება დიდწილად ტოლია მათი საბალანსო ღირებულების, ამ ინსტრუმენტების დაფარვის მოკლე ვადის გამო.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმო აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური ნიშნების არსებობას. ფინანსური აქტივი გაუფასურებლად განიხილება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური ნიშნები ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“), და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მოსალოდნელ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნო შეფასებაც შესაძლებელია.

3.8 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების თარიღებისათვის საწარმო აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთის შემთხვევაში საწარმო განსაზღვრავს აქტივის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივების დაჯგუფება ხდება ინდივიდუალურად და როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებლად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

3.9 შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურება წარმოებს დროითი სისტემით შრომითი კანონმდებლობისა და საწარმოს მიერ დადგენილი საშტატო განაკვეთების შესაბამისად.

3.10 კაპიტალი

საწარმოს საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით. ცვლილებები წესდებაში (მათ შორის საწესდებო კაპიტალში) ხორციელდება საწარმოს დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე, დგება სხდომის ოქმი, რომელიც დამოწმებულია ნოტარიუსის მიერ. საწარმოს საკუთარი კაპიტალი მოიცავს გაუნაწილებელ მოგებას.

4. შემოსავალი რეალიზაციიდან

2019

2018

შემოსავალი რეალიზაციიდან	2832977	2,573093
შემოსავალი ჩამოსაწერი საქონლის რეალიზაციიდან	29998	25285

5. რეალიზაციის თვითღირებულება

2019

2018

გაყიდული საქონლის თვითღირებულება	2326630	2,001897

6. სხვა საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავალი

შემოსავალი სარეკლამო, მარკეტინგული მომსახურებიდან	30776	37584
შემოსავალი უსასყიდლოდ მიღებული საქონელიდან	2102	2534
საპროცენტო შემოსავალი		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	365.69	240.67
შემოსავალი ინვენტარიზაციის შედეგად	8391.57	5635

7. ადმინისტრაციული, საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯები

2019

2018

მიმდინარე რემონტის ხარჯი	1707,74	
დაცვის მომსახ. ხარჯი	1545,72	
ტრანსპორტის მომსახ. ხარჯი	37	
საკონსულტაციო მომსახ. ხარჯი	1630,17	
ელ. ენერგიის ხარჯი	44445,96	
ტელე-კომუნიკაციის ხარჯი	107,76	
კომპიუტერული ხარჯი	2456,11	
საკანცელარიო ხარჯი	5838,15	
სხვა ხარჯი	39468,98	
კომუნალური მომსახ.	7777,42	
საწვავის ხარჯი	10555,77	
ჯარიმა, საურავი	50	
ფინანსური მომსახურების ხარჯი	46,61	
საგადასახადო ხარჯი	16562,61	
სულ	132230	56008

7.1 გაუფასურების ხარჯი (რევერსირება) მარაგები 19648

სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)	7914	
--	------	--

8. მოგების გადასახადის აღრიცხვა

მოგების გადასახადი გაიანგარიშება 2017 წლიდან ესტონური მოდელის ახალი კანონით, საგადასახადო კოდექსის 98-ე 1,2,3 პრიმა მუხლით. საწარმო საკუთარ ფინანსურ ანგარიშებაში აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს. სრულად მონაწილეობის შემთხვევაში. სხვა შემთხვევაში განაწილებული მოგებიდან.

	2019	2018
დარიცხული მოგების გადასახადი	6219	4227.54

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, დარიცხული ფინანსური მოგების გადასახადის გადახდა ხორციელდება დივიდენდების გაცემისას, ხოლო სხვა დანარჩენ ოპერაციებზე დარიცხული „მოგების გადასახადი“ აღირიცხება როგორც „სხვა საგადასახადო ხარჯი“

9. ანგარიში საკუთარი კაპიტალის მოძრაობის შესახებ .

მფლობელის კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლის გადაწყვეტილებით, რომლის აღიარებაც მოხდება როგორც საწარმოში დამფუძნებლის შენატანი სამართლიანი ღირებულებით. საწესდებო კაპიტალში საანგარიშგებო პერიოდში შენატანი არ განხორციელებულა. ფიქსირდება განაცემი მფლობელთა მიერ 243726,48 ლარი.

2019

2018

კაპიტალი-წლის ბოლოს	1041973	821635
---------------------	---------	--------

10. დივიდენდის განაწილება

დივიდენდი აღიარდება ვალდებულებად, მისი დეკლარირების მომენტში როგორც წესი, დივიდენდი ვალდებულად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც გადაწყდება მისი განაწილება. დივიდენის გაცემა არ განხორციელებულა აღნიშნულ საანგარიშგებო პერიოდში.

11. ძირითადი საშუალებები

საადრიცხო პოლიტიკითა და ფასს სტანდარტების გათვალისწინებით, ქონება დაჯგუფებულია საქმიანობისა და გამოყენების ვადების მიხედვით.

საბალანსო ღირებულება	მიწა, შენობა- ნაგებობები	მანქანა დანადგარები	საოფისე აღჭურვილობა	ინვენტარი	კომპიუტერული ტექნიკა	ელექტრო მოწყობილობა	პროგ. აპექსი	სულ
31/12/2017	637418.60	16686.94	12978	287703	37841.58	20244.25	7864.71	1,020737
შეძენა				7206.92	2366.50			
ჩამოწერა				62.59				
ცვეთა	33029.74	2023.50	3423.23	56779.12	12365.40	1898.30	1589.93	
31/12/2018	604388.86	14663.44	9554.85	238068.74	27842.68	18345.94	6274.78	918739
შეძენა		25245.85		1831.35	1009.23			
ჩამოწერა		13316.29		93.76				
ცვეთა	33029.74	1886.65	3228.53	57425.51	12656.25	1898.30	1589.93	
31/12/2019	571359.10	24706.34	6326.32	182380.83	16195.66	16447.64	4684.85	822100.74

12. სასაქონლო მატერიალური მარაგები :

	2019	2018
საქონელი	295797	261620.38
ნედლეული და მასალები	13020,51	14540.97

13. სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები:

	2019	2018
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	7345.11	7089.49
საწვავი		1367.40

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2019	2018
სავაჭრო ვალდებულებები	196712	180269
გადახდილი ავანსები	966	734

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019	2018
სავაჭრო მოთხოვნები	3470	10548

31 დეკემბრის მდგომარეობით ,სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ცხრილი, ხანდაზმულობის პერიოდი:

პერიოდი	<30 დღე	30-90 დღე	90-180 დღე	180-დღე 1 წელი	1 წელი- 3 წელი	< 3 წელი	ჯამი
2019	0	2969.69	0	0	0	0	2696.69

ინფორმაციის სესხის შესახებ:

	მიღებული სესხი	გადახდილი სესხი	დარიცხული %	გადახდილი %
2018	0	0	0	0
2019	0	0	0	0

ქვეკონტრაქტით შესრულებული სამუშაოები

	2018 წ	2019 წ
მიღებული სამუშაო	0	0
მიღებული ავანსი	0	0
გაცემული სამუშაო	0	0
გადახდილი ავანსი	0	0

ფინანსური მდგომარეობა

მპს მარელი 2019 წ

ფინანსური მდგომარეობა

აქტივები

ფული და ფულის ეკვივალენტები

სავაჭრო მოთხოვნები

გადახდილი ავანსები

მარაგები

მზა პროდუქცია

სხვა

31/12/2019 31/12/2018 01/01/2018

26170 20414 26513

3470 10548 1686

966 734 1790

315695 276181 243038

0 0 0

315695 276181 243038

საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	70222	138188	9186
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	4684	6274	7864
ძირითადი საშუალებები	817478	912465	1012876
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	1238685	1364804	1302953
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	196712	180269	129711
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	0	0	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	196712	180269	129711
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	577908	821635	1071636
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	464065	362900	101606
გადაფასების რეზერვი	0	0	0
სხვა რეზერვები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	1041973	1184535	1173242
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1238685	1364804	1302953

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები

	2019	2018
ნეტო ამონაგები	2911560	2635962
საქონლის გაყიდვიდან	2832977	2573093
მომსახურების გაწვიდან	30776	37584
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	47807	25285
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-2326630	-2001897
საწყისი მარაგები	276181	243038
მარაგების შესყიდვა	2366144	1972099
გადამუშავების დანახარჯები	0	62941
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	584930	634065
სხვა შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-224078	-184416
ცვეთა და ამორტიზაცია	-111715	-112699
საპროცენტო შემოსავალი:	0	0
საპროცენტო ხარჯი :	0	0
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-132230	-56008
სულ საოპერაციო ხარჯები	-468023	-353123
საოპერაციო მოგება	116907	280942
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები	0	0
მარაგები	0	-19648
სხვა არაფინანსური აქტივები	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	-7914	0
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	108993	261294
მოგების გადასახადი	0	0
მოგება/(ზარალი)	108993	261294
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების	0	0
გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	108993	261294

კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1184535	1173242
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	-261294
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-7829	311293
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-243726	-300000
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1041973	1184535
ფულადი სახსრების მოძრაობა		

ფულადი სახსრების მოძრაობა	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	277567	276855
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-28085	-32954
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-243726	-250000
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	5756	-6099
სავალუტო კურსის ეფექტი	0	0
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	20414	26513
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	26170	20414